განახლებულია 01.05.2026 წ.

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**რომანული ფილოლოგია (ფრანგული, იტალიური, ესპანური ენები და ლიტერატურა)/Romance Philology (French, Italian, Spanish Languages and Literary)**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი რომანულ ფილოლოგიაში/Bachelor of Arts in Romance Philology
პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი	ნატალია სურგულაძე, პროფესორი - natalia.surguladze@bsu.edu.ge მარინე სიორიძე, პროფესორი - marine.sioridze@bsu.edu.ge
პროგრამის სტრუქტურა/ECTSმოცულობა, სასწავლო გეგმა (იხ. დანართი №1)	180 ECTS
სწავლების ენა	ქართული ენა
საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	✓ ერთიანი ეროვნული გამოცდები; ✓ მობილობის წესით ჩარიცხვა; ✓ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	✓ მისცეს ფართო ცოდნა რომანული ფილოლოგიის დარგში, ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის ცნებებისა და ტერმინოლოგიის, საფაკულტეტო, სავალდებულო და არჩევითი დისციპლინების საფუძველზე მთელ რიგ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა საფუძვლებში; თარგმნის საფუძვლებისა და პრინციპების შესახებ; ✓ შეასწავლოს ძირითადი ფრანგული ენა და პარალელურად ერთ-ერთი რომანული ენის, იტალიურის ან ესპანურის ფონეტიკურ-მორფოლოგიურ-სინტაქსური, ლექსიკურ-სემანტიკური და ლექსიკოლოგიურ-სტილისტიკური თავისებურებები სამეტყველო უნარების(წერა, მოსმენა, საუბარი, კითხვა) ენობრივი კომპეტენციების არანაკლებ B2 დონეზე; ✓ ჩამოუყალიბოს წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურა უმთავრესად ფრანგულ ენაზე ან რომელიმე, არჩევით რომანულ ენაზე(იტალიურზე ან ესპანურზე) და განუვითაროს აზრის ლოგიკური თანმიმდევრობით გამოთქმისა და სხვადასხვა დანიშნულების ზეპირი და წერილობითი ტექსტის შექმნის უნარი კულტურათშორისი კომუნიკაციის ეფექტიანად წარმართვისთვის; ✓ გააცნოს ანტიკური, დასავლური, რომანულენოვანი ქვეყნებისა (საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთის) და ფრანკოფონიული ლიტერატურისა და კულტურის საკვანძო საკითხები და გამოუმუშავოს ლიტერატურული ნაწარმოებების, როგორც სიტყვის ხელოვნებისა და კულტურის ფაქტის აღქმის, გაცნობიერებისა და შეფასების უნარი; ✓ გააცნოს სასპეციალიზაციო ენათა თეორიული კურსები; გამოუმუშავოს ფილოლოგიური მონაცემების შეგროვების, გაანალიზების, დასკვნების გამოტანის, არგუმენტირებული მსჯელობის, კრიტიკული და შემოქმედებითი

	აზროვნების, სინთეზისა და ანალიზის უნარი; - განუვითაროს აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვისა და პლაგიატის პრევენციის, თვითორგანიზების, პროფესიული განვითარებისა და კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემის უნარები.
სწავლის შედეგები	✓ აღწერს რომანული ფილოლოგიის, ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის საკვანძო ტერმინებს, ცნებებს და საკითხებს, თარგმანთმცოდნეობის ფუნქციებს; ✓ ამოიცნობს და განმარტავს ძირითადი ფრანგული ენისა და პარალელურად ერთ- ერთი რომანული ენის, იტალიურის ან ესპანურის ფონეტიკურ-მორფოლოგიურ-სინტაქსურ, ლექსიკურ-სემანტიკურ და ლექსიკოლოგიურ სტილისტიკურ თავისებურებებს; ✓ მიმოიხილავს რომანული ენების ისტორიის, დასავლეთევროპული და ამერიკული ლიტერატურის, რომანულენოვანი ქვეყნებისა (საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთის) და ფრანკოფონიული ლიტერატურის და კულტურის ძირითად საკითხებს, თეორიებს, უახლეს პრობლემებსა და კონცეფციებს; ✓ იყენებს მიღებულ ცოდნას უცხოენოვან, ძირითადად ფრანგულ და რომელიმე სასპეციალიზაციო, არჩევით ენას: იტალიურს ან ესპანურს B2 დონეზე, როგორც ზეპირი, ისე წერითი კომუნიკაციის დროს სამიზნე აუდიტორიასთან და თავისუფლად გამოხატავს საკუთარ აზრს შესაბამისი ენობრივ-სტრუქტურული ერთეულების შერჩევითა და სამეტყველო ეტიკეტის ნორმების დაცვით; ✓ განასხვავებს სხვადასხვა თემატიკისა და ჟანრის რომანულენოვან (ფრანგულ, იტალიურ ან ესპანურ) მხატვრულ და არამხატვრული ტექსტებს; გამოხატავს შემოქმედებით და კრიტიკულ დამოკიდებულებას, დამოუკიდებელი და რეფლექსური აზროვნების უნარს ფუნქციურად და შინაარსობრივად მრავალფეროვან ტექსტებთან მიმართებაში; ✓ ავლენს ფრანგულ ენაზე ან რომელიმე სასპეციალიზაციო, არჩევით ენაზე: იტალიურზე ან ესპანურზე მიზნობრივი ამოცანის შესატყვისი სტილით წერისა და მეტყველების კულტურას და ქმნის სხვადასხვა დანიშნულების ზეპირ და წერილობით ტექსტს, ტექსტის აგების პრინციპებს ენობრივი კომუნიკაციის სათანადო ხერხების გამოყენებით; ✓ იყენებს მიღებულ ცოდნას პრაქტიკაში, როგორც წერით, ისე ზეპირი ფორმით დემონსტრირებას, სხვადასხვა თემაზე შექმნილი შემეცნებითი ტექსტების ინტერპრეტაციისას პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული აპრობირებული მეთოდებით; ✓ აანალიზებს სხვადასხვა ეპოქის დასავლური ლიტერატურის, რომანულენოვანი ქვეყნებისა (საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთის) და ფრანკოფონიული ლიტერატურისა და კულტურის გამომხატველ ტექსტებს, მათში ასახული ინფორმაციის, იდეების, ფასეულობების, თემებისა და პრობლემატიკის დამოკიდებულებას და პოზიციას; ✓ მონაწილეობს დისკუსიებში არგუმენტირებულად და თანმიმდევრულად, ზოგადფილოლოგიურ და დარგობრივ თეორიულ კურსებში მიღებულ ცოდნას იყენებს პროფესიულ საქმიანობაში, რის საფუძველზეც ახდენს ცოდნის ინტეგრირებას კვლევის სტრატეგიის შემუშავებაში, კერძოდ მონაცემების შეგროვების, იდენტიფიცირებისა და განხორციელების გზების დასახვაში; ✓ ქმნის სამეცნიერო ნაშრომს (საბაკალავრო ნაშრომი, რეფერატი, გამოკვლევა, ანალიზი და სხვ.) და მოიძიებს შესწავლილ რომანულ და ქართულ ენებზე არსებულ წყაროებს, საბიბლიოთეკო და მულტიმედიურ რესურსებისა/საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;

	✓ აღიარებს დასავლური და რომანული ქვეყნების (საფრანგეთის, იტალიისა და ესპანეთის) კულტურულ ტრადიციებსა და ფასეულობებს, ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მაღალ იდეებს; იცავს პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს და მოქმედებს ტოლერანტული მიდგომებით; ✓ ზრუნავს საკუთარ აკადემიურ და პროფესიულ განვითარებაზე, ამჟღავნებს სწავლის საჭიროებების დამოუკიდებლად განსაზღვრის, თვითორგანიზებისა და დროის მართვის უნარს, ასევე იმ პრიორიტეტების გამოყოფის უნარს, რაც უმაღლესი განათლების შემდეგ, მეორე საფეხურზე, მაგისტრატურაში, სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას მისცემს ან/და შესაბამის სფეროში დასაქმებაში შეუწყობს ხელს.